ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3021076

ნომერი: AR1463234

თარიღი : 13.12.2016

გაცემის თარიღი : 27.12.2016

გაცნობის თარიღი : 27.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი 26 მაისის ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბ აბზიანიძე პ/ნ 01024001371
- თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.13. N72

ორგანიზაცია:
- არკო კოდი: 405038739

ნომენკლატურა :

- I კლასი
- გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრება რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება რეკონსტრუქცია
- გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრება რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრების, ფასადის რეკონსტრუქციისა და სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განცხადება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, 26 მაისი მოედანი, შპს „მთა+“ის კუთვნილი ფართის, გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრების, ფასადის რეკონსტრუქციისა და სარეკლამო აბრის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლში საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აგვისტოს #315 დადგენილებით შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განთავსებაზეც სამსახური გასცემს წერილობით თანხმობას.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882016788048 17/11/2016წ. საკადასტრო კოდი N 01.10.13.030.085; საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი – საბურთალო, 26 მაისი მოედანი, შპს „მთა+“ის კუთვნილი ფართის, გადაუდებლობის შემთხვევაში შენობა-ნაგებობის დროებითი გამაგრების, ფასადის რეკონსტრუქციისა და სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად განსახორციელებელი დროებითი გამაგრების შემდეგ, საჭიროა განახორციელოთ გამაგრება. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მზიდი კონსტრუქციის ახლით ან/და სხვა ტიპის კონსტრუქციით შეცვლა, ასევე დაზიანებული/მწყობრიდან გამოსული მზიდი კონსტრუქციის გამაგრება, მზიდი კონსტრუქციის მოშორება წარმოადგენს რეკონსტრუქციას და საჭიროებს მშენებლობის ნებართვას. აღნიშნულ შემთხვევაში მშენებლობის ნებართვა გაიცემა II (არქიტექტურული პროექტის შეთანხმება) და III (მშენებლობის ნებართვის გაცემა) სტადიების გათვალისწინებით.

გაითვალისწინეთ, რომ ყოველი სარეკლამო აბრის განთავსება შეთანხმებულ უნდა იქნას ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge